№ 225

ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 1901 წ.

1877–1901

# ივერია

№ 225

ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12. . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11. . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10. . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9. . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8. . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7. . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, ოზურგეთში გარდაიცვალა

## მღ. გიორგი თოხაძე,

რასაც ქვრივი გარდაცვალებულისა **რაისა სოლომონის ასული თოხაძისა** და ძმანი მისნი: **ალფეზ, სამსონ და სერაფიონ თოხაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

განსვენებულს ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, დაასაფლავებენ ექადიაში.

(1—223—1)

**ეკატერინე სტეფანეს ასული კაკალოვისა და პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მცნობებს გარდაცვალებას კავკავში 14 ოქტომბერს პირველის ძმის ცოლის, ხოლო მეორის ბიძას ცოლის

## მარია პავლეს ასულის კაკალოვისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის წირვაზე ტფილისის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ.

(1—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს 1901 წ.

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ბ. ევდოშვილის სადებიუტოთ**

წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

I

## ჯადო სიყვარულისა

დრამატ. ეტიუდი 4 მოქმ. თხზ. კარპოვისა, გადმოკ. ა. ნათაძის მიერ,

II

## დათვი

ვოდ. 1 მოქმედებად, თხზ. ჩეხოვისა, გად. გრ. ვოლსკისმიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა, ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ევდოშვილი, იმედაშვილი, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 21 ოქტომბერს; მზადდება „უცოლოთა კლუბი“ კომ. 3 მოქ. და „ვენეციელი ვაჭარი“ კომ. 5 მოქ.

(3—6.—3)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ტერ აკეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შაკაოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მკურნალი

## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ავგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ს. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

**ბ. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

# ფელეტონი

—

### პატარა სიმღერები.

I

ვიშ ამ წალკოტს, ტურფად შემკულს,
სამოცნებოს სანეტაროს!
ჰუ, თოფის ხმა!.. ნუ თუ აქაც
უნდა სისხლი დაიღვაროს?

—

ეჰ, ასეა: ღმერთს ქვეყანა
სამოთხედა შეუქმნია;
მაგრამ გულ-ქვა ადამიანს
ჯოჯოხეთად გარდუქმნია!

II

ნეტა ქვეყნად ანგელოზი
ღმერთმა რისთვის მოგავლინა,
თუ მაშინვე ამ ცივ ქვის ქვეშ
დანიშნული გქონდა ბინა?

—

მაგრამ ვაი შენს დამკარგავს,
უნუგეშოდ შთენილს მშობელს,
თორემ შენ კარგ დროს განშორდი
ტანჯვით სავსე წუთის სოფელს!

დუტუ-მეგრელი.

### ზმანება

(ვუძღვნი ლ. ნ. ტოლსტოის).

(დასასრული *)

II

დაწყნარდნენ, დაშოშმინდნენ და განაგრძო ისევ თამადამ:

— უკაცრაოდ, ბატონებო, სიტყვა ჯერ არ დამიმთავრებია. ჰო, ის უნდა მომეხსენებინა თქვენთვის, ღრმად პატივცემულნო ქალბატონნო. უეჭველია, მირისხდებით გუნებაში: უმშვენიერესი და უკეკლუცესი გაზაფხულივით აყვავებული და საამო ყვავილების სურნელებით ნეტარად დამბნედავი, ამოდენა საპატივო ქალ-მანდილოსნები ერთს პაწია ჭიქაში რათ მოგვამწყვდიაო თამადამო, მაგრამ გულს არ შეგაკლებთ, ხუთის ჭიქით გიახლებით. აი ამ სამის ჭიქით წმინდა სამებაერთარსების ძალზედ ღმერთმა მრავალ-ჟამიერ ბედნიერის ცხოვრებით გაცოცხლოთ თქვენ, ყველა აქაბრძანებელნი ანგელოზის ჯიშისანი, ხოლო მეოთხე და მეხუთე ჭიქით ვადღეგრძელებ აქ არ-დასწრებულს, ძაღლისა და ვირის ჯიშის ქალმანდილოსნებსაც, რომელნიც მრავალ არიან ცოდვილს ქვეყანაზედ. მე ღრმად დარწმუნებული გახლავართ, რომ თქვენ აქ ყველანი ანგელოზის ჯიშისანი ჰბრძანდებით... მაგრამ თქვენის გულის სარკე თვალების გამომეტყველებაზედ რაღაც საშინელ რისხვა-წყრომას ვკითხულობ, ჩემი ყოვლად-უზრდელ სიმართლისაგან უცბად გამოწვეულს. იქონიეთ მცირეოდენი მოთმინება სულგრძელობისა, ყოვლის სიმშვენიერით და ძლევამოსილებით აღსავსე ქალბატონებო, ვიდრე ჩემს სიმართლეს და თქვენის წყენის უსაფუძვლობას დაგიმტკიცებდეთ მათემატიკურ აქსიომასავით აშკარად და ჭეშმარიტად. აი დასამტკიცებელი საბუთიც:

„ზეპირ-სიტყვიერებისაგან ხალხის პირით გადმონაცემ თქმულებისამებრ ნოეს სხვა მრავალ გვარ სათესლე ცხოველთა შორის ამოურჩევნია სამი თავისი გასათხოვარი ქალი და სამიც უცხო კაცი. წარღვნის შემდეგ, როდესაც ყველანი გამოსულან მრავალ-ოთახებიან კიდობნიდამ, ნოეს გამოუცხადებია სასიძოებისათვის: „წადით, სახლ-კარი აიშენეთ, სადაც მოგეწონოთ, თქვენ სოფელს საქართველო დაარქვით სახელად, მოდით მემრე და დაგისიძევებთო“. ერთ მშვენიერ მაისის დილას ნოეს სათესლე ქალებს მზის სხივებით საამურად ალაპლაპებულს ზღვაზედ ნავით სეირნობა მოუსურვებიათ. ნავში საშინელი ჩხუბი მოჰსვლიათ დებს ერთ ოქროს ბეჭდის შენ-ჩემობაზედ, ერთმანეთისათვის თმებში უტაცნიათ ხელი გაამთრებულებს, გადაჰბრუნებიათ ნავი იმ ცემა-ტყეპის ორონტრიალში და სამნივ ზღვაში დაღუპულან, მხოლოდ შველებაში თავისი ქალებისაგან ნაცემ-ნატყეპი ნოე-ღა გამობობღებულა ზღვის ნაპირს რის ვაივაგლახით.

„ნოეს ერთი ანგელოზი ჰყოლია დაშინაურებული, ერთი ძაღლი და ერთიც ვირი. უნატრია—და ქალათ ქცეულა ანგელოზიც, ძაღლიც და ვირიც, რომელნიც მალე ცოლებათ შეურთავთ ადამიანთა მოსაშენებლად ამორჩეულ კაცებს. ნოეს თავისი ქალების ზღვაში დაღუპვის ამბავი არ გაუმჟღავნებია სიძეებისათვის და აბა რა ფიქრს მოვიდოდნენ ისინიც თუ რა მოჰხდა. ერთის წლის შემდეგ, ნოე ჯერ ერთ სიძესა სწვევია სტუმრად, და გულმწუხარედ შეუჩივლნია სიძეს: „ოხ, ჩემო სიმამრო, ეს რა ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩამაგდე, რათ მომათხოვე ისეთი ღვთის პირის მკაწრავი კაპარჩხინა ქალი, რომ კაპასი აფთარა ძაღლივითა მყეფავს და მღრღავს ამ დღეთა და ამ ღამეთ ყბა-დაუყენებლათო“. „ძაღლი იყო და მაშ რა იქნებაო“,—იფიქრა ნოემ გულმტკივნეულად და ამითა ანუგეშა საბრალო სიძე: „რა ვქნათ, შვილო, რა გაეწყობა, დედაკაცის ოხტში ჩხუბ-კუდიანი ქაჯ-ეშმაკებით სავსე ჯოჯოხეთიც ვერ მოსულა, და ჯოჯოხეთის უფროს სატანა-ტარტაროზს კიდე ეს უთქვამ გულ-გარისხებულს: დედაკაცი რო კარგი იყოს, ღმერთსაც ცოლი ეყოლებოდაო“. ესტუმრა ნოე ახლა მეორე სიძეს, და ცხარე ცრემლით შესტირა მეორემაც: „ღმერთმა რა გიყოს, ჩემო სიმამრო, ეს რა გულის დამაქლექებელი ქალი გადმკიდე, ამას არც კეთილ-გონივრული სიტყვა ესმის, არც ღვთაებრივი დარიგება და არც გულ-ბრაზიანი ლანძღვა-გინება და ცემა-ტყეპა. ერთიბეწვა რომ უთხრა რამე—წიხლებითა მხეთქავს გაკაპასებული. ნამდვილი ვირია შეუსმენარი, კერპი და გაჰკირიაო“. „ვირი იყო და მაშ რა იქნებაო“,—იფიქრა ნოემ, ანუგეშა ისიც გულ-მოსალბობი სიტყვებით და ბოლოს ესაც უთხრა: „დედაკაცს ძაღლიც კი არ ერჩის შიშისაგან, იმისი ავსული-აფთარა თავის ამბავი რო იცის, და შენც მოთმინება იქონიე და ნუ აუძრახდები ჯოჯოხეთის ვირ-აფთარს გაანჩხლებული ტლინკების საყრელათო“. ეწვივა ნოე მესამე სიძესაც, რომელმაც დიდის სიყვარულით და სიხარულით გადაკოცნა ერთის წლის უნახავი სიმამრი და სანეტარო ბედნიერების ალტაცებით უთხრა: „შენს ღმერთს კი ვენაცვალე, ჩემო სიმამრო, და შენს გამჩენს! ეს რა ღვთის ნათ-

*) იხ. „ივერია“ № 224.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის, 10—11 საათ.

**ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი** — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ს. ა. ვოინო**—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 17 ოქტომბერს, ექსარხოსის ეკკლესიაში საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მიერ საღმრთო ლიტურგია და სამადლობელი პარაკლისი იქმნება გარდახდილი იმის სახსოვრად, რომ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა და სამეფო სახლობა ამ დღეს ღვთის განგებით 1888 წელს, საქართველოდგან რუსეთს დაბრუნებისას, სიკვდილს გადარჩნენ.

წირვა დილის 10 საათზედ დაიწყება. სამხედროთათვის ტანისამოსი სადღესასწაულოა.

*** როგორც შევიტყეთ, ლეიპციგში ერთს წიგნების გამამცემელს ფირმას განუზრახავს გამოსცეს ორი ცალკე წიგნი აღმოსავლეთის ერთა ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. აღნიშნულს წიგნებში, როგორც შევიტყეთ, ადგილი ექმნება თურმე დათმობილი აგრეთვე საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას.

*** კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტს უკვე შუამდგომლობა აღუძრავს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე, რომ გამოფენა ნოემბრის გასულამდე არ იქმნეს დახურული.

*** როგორც შევიტყეთ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ოქროს მედლით დაუჯილდოვებია წერილი ა. იაგ. ვუჩინოსი, რომელმაც სათაურით „სოია“ (ქვა-ლობიო) დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა საზოგადოებას იმის შესახებ, თუ ეს ყოვლად ნაქები ლობიო იაპონიისა და ჩინეთისა ჩვენს საქართველოში როგორ და სად მიაჰყავთ.

*** ამ რამდენისამე ხნის წინად ჭიათურის შავის ქვის მრეწველთა საზოგადო კრებამ გარდასწყვიტა ჭიათურაში საზოგადო აბანოები გაეკეთებინა. ეხლა, როგორც იტყობინებიან, შავის-ქვის მრეწველთა საბჭო უკვე შესდგომია კრების დადგენილების განხორციელებას და აბანოებისათვის სადგომის შენობის აგება უკვე დაუწყვია.

*** 15 ოქტომბერს კავკასიის მეღვინე-მევენახეთა მეორე კრება მოხდა სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბ-ნ სტაროსელსკის თავმჯდომარეობით. სხდომის გახსნისათანავე თავმჯდომარემ განაცხადა: რადგანაც ბევრი განსახილველი საქმეები გვაქვს, დრო-კი ცოტა, უკეთესი იქნება სექციებად გავიყოთო; კრებამ ეს წინადადება არ მიიღო და დაადგინა, სთხოვოს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, თუ ვინიცობაა ყველა საქმის განსახილველად 5 დღე არ ეყოფა კრებას, მეტი დრო მიეცეს. შემდეგ თავმჯდომარემ ვრცელი მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, როგორ მიდის ამერიკულ ვაზის მოშენების საქმე ქუთაისის გუბერნიაში; მომხსენებლის სიტყვით, ამ ოთხი-ხუთის წლის განმავლობაში ხალხი გულ-მოდგინედ შეუდგა ამ ვაზის გაშენებას, ბევრს ამ ვაზით გაშენებულ ვენახებიდგან კარგი შემოსავალი აქვს. დასასრულ კრებამ გამოსთქვა სურვილი, რაც შეიძლება უფრო გავრცელებულ იქმნას კავკასიაში ამერიკული ვაზი.

*** 15 ოქტომბრიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მატარებლები სულ სხვა ახალი წესით ივლიან და გაჩერდებიან შემდეგს პლატფორმებზედ, რომლებიც გაზეთის მე-4 გვერდზედ არიან მოხსენებულნი „ყოველ დღიურს საჭირო ცნობებში.“

## კავკასიის გამოფენა.

კავკასიის გამოფენის უმთავრესმა კომიტეტმა 13 ოქტომბრის სხდომაზედ გარდასწყვიტა სთხოვოს კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს დეპეშით მიჰმართოს უმაღლეს მთავრობას იმის შესახებ, რომ ნება დართონ გამოფენა ნოემბრის გასვლამდე არ დაიხუროს.

დღეს გამოფენაზედ მოტანილ ღვინის საკეთებელ მანქანებს დაათვალიერებენ კავკასიის მეღვინე მევენახეთა კრების წევრნი.

## სიტყვა,

თქმული ვ. ა. სტაროსელსკის მიერ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების 50 წლის საიუბილეო სხდომაზედ 30 სექტემბერს 1901 წელს.

მოწყალენო ხელმწიფენო! ვიცი, დღევანდელს დღესასწაულს ჩვენის საზოგადოების ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობისას არ შეჰფერის სულ უმცირესი ჩრდილის მიყენებაც-კი, მაგრამ არ მინდა ჭეშმარიტებას ვუღალატო და საიამოვნო სურათად დაგიხატოთ ჩვენის მეურნეობის აწინდელი მდგომარეობა.

მართლაც-და, უცნაური არ არის განა, რომ ამიერ კავკასიაში, ვაზის სამშობლო ქვეყანაში, ყველგან ერთი და იგივე კითხვა გაისმის: სასარგებლო-კი არის მევენახეობა და მეღვინეობაო? და ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ეს დარგი მეურნეობისა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება.

ერთიან ჩვენი მეურნეობა-და კერძოდ მევენახეობა გაჩნდა და აღორძინდა ფეოდალურ წეს-წყობილების გავლენის ქვეშე, რომელიც საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე სუფევდა. ერთად ერთი მიზანი ჰქონდა იმ დრო სმეურნეს—საკმარისად მოეყვანა ყოველგვარი ჭირნახული, რომ არც თითონ დაჰკლებოდა, არც თავის შინაყმათ.

იმ დროინდელმა მეურნემ ჯერ არც ბაზრისა იცოდა რამე, არც მოსავლის გასასყიდად შემზადებისა. ამ წეს-წყობილების ნიადაგად მუქთი, უსასყიდლო შრომა ჰქონდა და თანხას, ფულს არა ჰსაჭიროებდა.

გადიოდა ხანი, კავკასიაში მშვიდობიანობა მყარდებოდა და ფეოდალურ წეს-წყობილებასაც ეკარგებოდა საფუძველი თავის არსებობისა. წარჩინებული წოდება ქა-

ლაქისკენ ი[...]
როგორც კარგს, ისე ავ მხა[...]
განათლებისას: მოემატად მოთხ[...]
ნილებანი და ფული საჭიროე[...]
გახდა. იაფი კრედიტის გასახ[...]
ლად დაარსებულმა დაწესებულე[...]
ერთ ხანად ხელი გაუმართა მემა[...]
ლეთ, მაგრამ სარგებლის გადა[...]
ერთიანად ძირს დასცა უიმისოდ[...]
დაქვეითებული მეურნეობა და გ[...]
ხთა ყმობისაგან განთავისუფლე[...]
1864—1869 წ. ხომ ბოლო მ[...]
ლო და სულთმიაბრძავად გახადა.
შედარებით ცოტა უკეთ გად[...]
ბატონ-ყმობის გადავარდნის დრ[...]
გლეხი-კაცის პატარა მამული [...]
მეურნეობა: გლეხ-კაცს არ აწუხე[...]
იმოდენი მოთხოვნილებანი, [...]
თავად-აზნაურს; იგი თითონვე [...]
მუშა თავისი მამულისა და გა[...]
ამისა განთავისუფლებამ შეაძლე[...]
ნა—მთელი თავისი შრომა თა[...]
თვისვე მოეხმარებინა. მაგრამ ს[...]
გადო მიმდინარეობას ისიც ვერ[...]
დარჩა და ვალებში ჩაიხრჩო.
რა არის ვენახის შემოსავალი[...]
ქართველის ვაზისა და ღვინის[...]
საუკეთესო მხარეში—კახეთში?
შუალო მოსავალი—დესეტინა[...]
120—130 ვედრო ოც-და-ხუთ [...]
მანზედ მეტად ვერ დაფასდება. [...]
დგან ხარჯი რომ გამოვრიცხ[...]
სარგებელი დანახარჯი ფულ[...]
ხარჯი ღვინის დაყენების და მ[...]
ლისა, წილი ვენახის გაშენებისა[...]
სხვა-და-სხვა საჭირო მოწყობილ[...]
სა, მევენახეს-მემამულეს დესეტ[...]
ზედ სულ რამდენიმე თუმანი[...]
დარჩება. და თუ ვაზს რაიმე ს[...]
ლება შეეყარა და ღვინის ფ[...]
დაიწია, სულაც აღარაფერი. [...]
თაისის გუბერნიაში ძალიან გაა[...]
ლებულია ღვინის გაყიდვა-გას[...]
ბა; იქ მოსავალიც მეტი იცის ვაზმ[...]
დესეტინაზედ 250 ვედრომდე, [...]
ამიტომ მევენახეც უკეთესს მდ[...]
მარეობაში უნდა ყოფილიყოს;

---

ლული ქალაია მიწყალობე, ნამდვილი სამოთხეა ჩემი ცხოვრება ასეთი ანგელოზივით მშვიდი, უწყინარი და ჭკვიანი ცოლის ხელშიო“.

„ანგელოზი იყო და მაშ რა იქნებაო“,—იფიქრა ნოემ და მამობრული სიყვარულით ვადაკოცნა თავისი ნაანგელოზარი ქალი.

„ასე და ამგვარად წარმოდგნენ და გამრავლდნენ წარღვნის შემდეგ ქვეყანაზედ სამის ჯიშის ქალებიო, —მოგვითხრობს ზეპირ-გარდმოცემა ქართველი ხალხის პირით, და თუნდ ეს ზეპირ-თქმულებასაც არ ემხილებინა ჩვენთვის, უამისოდაც დღესაც ყველგან და ყველანი ცხადად ჰხედავენ მთელს დედამიწის ზურგზედ, რომ მართლაც მთელის ქვეყნის მანდილოსნები იმ სამის ჯილაგის ცხოველთა ჯიშისანი არიან, და, ჩვენდა სამწუხაროდ, ასში ათიც ძლივს მოიპოება იმათში ანგელოზის ჯიშისა. მე კიდევაც უნდა მოგახსენოთ, ღრმად პატივცემულნო ქალბატონნო, რომ თქვენ აქ ყველანი ანგელოზის ჯიშისანი ჰბძანდებით... მგონი ცხადია ეხლა კი, რომ მოხუც კაცთაგან გადმონაცემ სიმართლის გადმოცემისათვის თქვენი რისხვა-წყრომის ღირსი არ უნდა გახლდეთ. აი, სიამოვნებით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს და წრფელის გულით და სულით ვნატრობ ამასაც: ანგელოზის ჯიშის ქალ-მანდილოსნები უფრო მეტად ანგელოზობდნენ ცხოვრებაში მრავალ-ტანჯულ კაცობრიობის წარმატება-ბედნიერებისათვის, და ღმერთმა ინებოს ძაღლისა და ვირის ჯიშისანიც ამ მეოცე საუკუნის დასაწყისიდამ მაინც ისე იქცეოდნენ, რომ იმათგან საქაო ჯოჯოხეთის გეენიაში ყელთამდის ჩაცვივნილს ქმრებს ათასში ერთხელ ცივს ნიავს მაინც მიადენდნენ ხოლმე შუბლის გასაგრილებლად...

— ვაშა, თამადავ! ბრავოო!.. ტაშის ცემით და სამხიარულო სიცილ-ხარხარით გრიალებდნენ კაცები, „ტუშს“ უკრავდა მწარე-ტკბილად მოღუღუნე და მოზუზუნე დოლდუდუკი და დაირა-თარ-ჭიანური, მაგრამ გულ-მრისხანედ შუბლ-შეკრული ქალ-მანდილოსნები-კი ტუჩებში ჩალაპარაკებით ამკობდნენ თამადას ამ „მშვენიერი“ ეპიტეტებით: „ბრიყვი! ვირი! უზრდელი! ურცხვი! სალახანა! დიანეუანი! გიჟი! სულელი! საზიზღარი! იდიოტი! კრეტინი!“ ზოგიერთი მეტის მეტად გულ-გამეხებული ქალ-მანდილოსანი წამოდგა და შინ წავიდა ბრაზის გასახეთქად, რადგანაც ეშინოდათ თავიანთ გულ-გონების გამცოფებელი შხამ-გესლი იქ არ დაენთხივნათ და აფთარ ძაღლის ჯიშის ნიშნები საქვეყნოდ არ გამოსჩენოდათ.

გულიანად გადაჰკრეს თამადის სიტყვებით დიდად ნასიამოვნებმა კაცებმა სადღეგრძელოები, მადიანად გაუსვეს ათასნაირ საჭმელებსაც და მერე, როდესაც კუჭი ამოივსეს რიგიანად, ჯაბეს საოხუნჯო მასლაათი, სიმართლის განაჭერ ლეგენდისაგან გამოწვეული. გაუმაძღარ სვავივით გამოიტიტაყვა თამადაც საუცხოვო სურნელთა-მფენი მოხრაკულებით და ბოლოს დაიწყო ისევ დარბაისელთა დაწყნარებული სიდინჯით და გულის სიღრმემდის ჩამწვდომი გარკვეული სიტყვებით:

— ბატონებო! ესაც ქვეყნიერობის გამჩენმა ღმერთმა თქვენ, კაცები გადღეგრძელოთ, „მოგცეთ ადამის დღენია“ და გამრავლოთ ისე, როგორც მრავალ არიან ზღვაში ქვიშანი, ცაში—ვარსკვლავნი და დედამიწაზედ—კუდაბზიკა მცბიერნი, ქვემძრომელა გაიძვერანი, საჯოჯოხეთო იუდანი და ის ყოვლად-უნიჭო ჭიამცოცავნი, რომელთაც-კი კიტრათ-ღირებული თავი თვისი უკვდავ გენიოსად მიაჩნიათ და სულის ავადმყოფობა mania grandiosa-ობისაგან შეპყრობილნი ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ხსენება-სახელიც ისე იბრწყინვალებს ოდესმე სამთელქვეყნო გენიოსთა უკვდავების ისტორიაში, ვით ბადრი მთვარე კამკამა ცაზედ. ვთხოვ ამ მეოცე საუკუნის უხილავ ძალთა ძლიერებასაც ჯანი მთელი მოგცეთ, გული მხიარული, მარჯვენა გამრჯელი, გონება ძლევამოსილი, გამჭრიახე, სულის ძლიერება იალბუზის ბუმბერაზ-მთასავით მტკიცე შეურყეველი და გრძნობა სამშობლოს სიყვარულით აღსავსე-თავ-განწირული. თავი რომ არ შეგაწყინოთ მეტის ლაპარაკით და სიტყვა მოკლედ მოვჭრა, იცით, რას უფრო ვისურვებ თქვენთვის ამ მეოცე საუკუნეში სამოქმედოდ?—რასა-და, ყოველ კეთილ საქმეში ისეთ მტკიც-დაურღვეველ ძმობა-ერთობას, რომელიც უძლეველ მტერთა ბანაკებსაც-კი სამუდამოდ ანადგურებს და დაჩაგრულ კაცს დაკარგულ დიდებასაც უბრუნებს.

„ამსთანავე ნუ დავივიწყებთ ნურასოდეს, ბატონებო, ჩვენი მარადსაგონებელი და ტკბილად-სახსენებელი პოეტ აკაკის ამ სიჭეშმარიტით აღსავსე უკვდავ სიტყვას: „რაც საქართველოში დაძალეჰის დროს ღვინო იქცევა და ილევა, ის რო მოვაგროვოთ და ფულად ვაქციოთ, ისიც ეყოფოდათ ჩვენს შვილებს გამოსაზრდელათო“. დიახ, ნუ დავივიწყებთ ამას სიკვდილამდე და ნუ გავაცინებთ ჩვენს თავზე მოლა-მასრადინის ვირსაც-კი, რომელსაც მოლამ ბევრი ეხვეწა და ემუდარა, და ბოლოს ცემაც დაუწყო ჯავრობით: გულიანათ დალიე წყალი, შე

სატიალო, თორე უდაბნოში წყ[...]
ვეღარა ვნახავთო. მაგრამ ვირმა [...]
მაზე მოჭარბებული ერთი ყლა[...]
არ ჩაყლაპა, რადგანაც ვირმა[...]
იცის, რომ მოჭარბებული ყვე[...]
ფერი მაზნევარიაო, და მაშინ სთ[...]
ფილოსოფოსივით ჩაგულის-ხმებ[...]
მა მოლამ: შენ ვირი არა ჰყოფილხ[...]
ჩემო კარგო, უტვინო და უგუნ[...]
ვირი ის არი, ვინც ზომაზე მო[...]
ბებულ ღვინო-არაყს ისხამს ი გ[...]
მაძღარ, ჩასახეთქ მუცელში თა[...]
ჯან-ღონის დასაზიანებლად, სი[...]
ცხლის შესამოკლებლად, ტვ[...]
გამოსალაყებლად და ოჯახის დ[...]
ღუპავადო.
„რომ თქვენც გულს არ შეგა[...]
დეთ და არ მისამდურავოთ: ქა[...]
ბის სადღეგრძელო კი ხუთის ქ[...]
გასტყლარჭე და კაცებმა რაღა [...]
გიშაველთ, გველი შაგიწვით თუ [...]
ხუნა მოგიძოვეთ, რომ ყვე[...]
ერთს, ბებიას სათითესავით წუწ[...]
ტანა ჭიქაში მოგვამწყვდივე მი[...]
სკოპიული ატომებივითო, ამ[...]
თვის თქვენს სადღეგრძელოსაც ს[...]
ჭიქით გიახლებით დიდის სიამო[...]
ბით, მით უმეტეს, რომ მთე[...]
ქვეყნის კაცებიც სამს ხარი[...]
განვიყოფებით ქართველი ხალ[...]
პირითვე გადმონაცემ ზეპირ-თ[...]
ლებისამებრ. აი, ამ პირველის [...]
ქით საერთოთ გისურვებთ იმ [...]
ველსავე ჩემგან ნათქვამს კე[...]

რამ სამაგიეროდ ფილოქსერა მძვინვარებს; სტატისტიკის მიერ აწერილ 1900 წელს 30 ათას დესეტინა ვენახიდგან ათი ათასი-ღა გადარჩა, დანარჩენი ფილოქსერამ ამოაგდო.

როგორც ქართლ-კახეთში, ისევე იმერეთში, ტეხნიკა მევენახეობისაა და მეღვინეობისა განვითარების იმავე წერტილზედ სდგას, რომელზედაც ასის წლის წინად იყო. მაშ რა შესძინა ამ დარგს მეურნეობისას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ? ეჭვი არ არის, 50 წლის თავის მოღვაწეობის განმავლობაში ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა მეურნეობის დასახმარებლად და გასაუკეთესებლად და,—თუმცა მრავალს მის საშუალებათაგანს დროებითი, პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, წყლულს ჰფარავდა და კი არ ჰკურნავდა, იმისთანაც ბევრი იყო, რომლის ზედ გავლენამ ფესვი ჩაუ[...]დგა ახალს მეურნეობითს ცხოვრებას. სამწუხაროდ ახალის ცხოვრების ფესვი მეტად გვიან ღორძინდება და ნაყოფიც გვიანი იცის.

საზოგადოება ცდილობდა შეესწავლა ჩვენი ქვეყანა, გაევრცელებინა სამეურნეო ცოდნა, გაეღვიძებინა ხალხში შეგნება და ამ მხრივ კიდეც მიაღწია მიზანს. ახალი ვენახები კახეთში, რომელთა ვაზი ამერიკულ ვაზზედ არის ნამყენი, ვენახები ქუთაისის გუბერნიაში, მევენახეობა შავი-ზღვის პირას, ყუბანის ოლქში და სხვაგან გვარწმუნებენ, რომ მეურნეობაში შემოღებული ახალი წეს-რიგი დამყარებულია ბაზრისა და ტეხნიკის რაციონალურს მოთხოვნილებაზედ და უტყუარი ნიშანია ჩვენი მევენახეობის ბრწყინვალე მომავლისა. მხოლოდ ნორჩს, ახლად დაბადებულს გამოცდილი და გონიერი ხელმძღვანელი სჭირია. ამისთანა ბუნებით მდიდარს და აქა-იქ სრულიად განსხვავებულს მხარეში, როგორიც კავკასია არის, შეუძლებელია მევენახეობის ერთგვარი ტიპი იქმნეს შემოღებული. ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეს, სადაც-კი ვაზი ხარობს და მეღვინეობას მისდევს ხალხი, განსაკუთრებული თვისებანი აქვს: მზისგან მეტი ან ნაკლები სითბო და სინათლე, განსხვავებული ნიადაგი, განსაკუთრებული ეკონომიური პირობანი და, მაშასადამე, ყოველს მემამულეს განსაკუთრებული რაციონალური სისტემა უნდა ჰქონდეს შეთვისებული როგორადაც სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის გაშენებაში, აგრეთვე ღვინის დაყენებაში და გაყიდვაში.

თუ გავიხსენებთ, რამდენი მილიონი შთანთქა ყირიმის სამხრეთ მხარეში გაშენებულმა ვენახებმა,—არავითარ ხარჯს არ ერიდებოდნენ მემამულენი იმ იმედით, რომ ძვირფას ღვინოებს დავაყენებთო,—მაშინ გავითვალისწინებთ მხოლოდ, რა საშიში ყოფილა ყოველივე შეცდომა ჩვენს მოღვაწეობაში და რა დიდ მნიშვნელოვანი ვალდებულებანი აძევს სამეურნეო საზოგადოებას ჩვენს ქვეყანაში, სადაც თითქმის არც სკოლებია ჯერ, არც სამაგალითო სამეურნეო სტანციები და სადაც ფული ძვირია და ბუნება ერთგვარობას მოკლებული.

მაშ ვუსურვოთ ჩვენს ღირსეულს საზოგადოებას მრავალ ჟამიერი სიცოცხლე! მაღლად ამართული ეჭიროს ხელში ლამპარი მეურნეობის წინსვლის და გაუმჯობესობისა და მით შეაერთოს თავის ჭერ ქვეშ ყოველი მუშა სამშობლოს აყვავებისა.

---

# დაბა და სოფელი

—

**სოფ. ელენოვკა** (ახალი ბაიაზეთის მაზრა). დიდი ზამთარი დაგვიდგა. თითქმის ერქვნიდგან მოკიდებული სოფელ დიდ კარაკლისამდე ნახევარი არშინი თოვლი დასდო. ხალხსა ფურგუნებითა და ურმებით სიარული გაუჭირდათ. ღამ-ღამობით ყინვები დაიწყო. მართალია, ელენოვკაში წრეულს, მაკალითად, თივა და ბზე ბლომად მოუვიდათ, პური და ქერიც, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ თაგვებმა გაათხრეს და გაანადგურეს თითქმის მეოთხედი ნამუშევარი ქერი და ხორბალი. სოფელს ელენოვკაში ოთხასი კომლი გლეხი სცხოვრობს, სულ რუსეთიდგან გადმოსახლებული: მალაკნები, სუბოტნიკები, პრიგუნები და ხლისტუნები. მართლმადიდებლებს აქ მხოლოდ ზასტავის უფროსს, ორ-კლასიან სკოლის ორს მასწავლებელსა, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ორს მოხელესა ჰნახავთ და პოლიციის ბოქაულს. მგზავრი აქეთ მხოლოდ ფოსტის სადგურში თუ იშოვნის რაიმე საჭმელ-სასმელს, თორემ ისე მალაკანთან რომ მიბრძანდეთ, პატარა წიწილას მანეთად დაგიფასებენ. მაგრამ, სამაგიეროდ, თუ რომ ფოსტის ცხენებით არ წამოხვედით, მშიერი და მწყურვალი მოკვდებით, რადგანაც ასეთს მგზავრებს სადგურის ბუფეტში არ უშვებენ და არც სასმელ-საჭმელს აძლევენ, არც ღამეს ათევინებენ. გარდა ამისა, აქაურები მთლად მოკლებულნი ვართ ეკკლესიას, მკურნალს, წამალს, ფერშალს; ღმერთმა დაიფაროს, რომ აქ კაცი ავად არ გახდეს, თორემ ოც-და-ათი ვერსის მანძილზედ უნდა წაიყვანოს ავადმყოფი მკურნალთან, რის გამოც ბევრი ესალმება უდროოდ წუთის-სოფელსა.

ამ ორის კვირის წინედ, თოვლი რომ მოგვივიდა, გაჩნდა სოფელში მგლები და მოსვენება აღარა გვქონდა: ერთს გლეხს საბძელში, ღამე, რვა მშვენიერი ჯიშის ცხვარი დაუხრჩო. მეოთხე დღეს კიდევ ათი ბატი დაუხრჩო მეორე გლეხს. მართალია, სოფელში ღამ-ღამობით ყარაულები დადიან, მაგრამ, სწორედ რომ მოგახსენოთ, უფრო იმას დაეძებენ, ვის რა წავართვათო და ყველაზედ გულ მოდგინედ მიკიტნის დუქანს ჰყარაულობენ, რის გამოც ამათი შემწეობით სოფელში ქურდობა ძლიერ ხშირია.

გელაქნური და იმხანი აქეთ ძრიელ დაძვირდა. ადრე თუ ორ შაურათ ვიყიდდით, ეხლა აბაზი და ხუთი შაური გახდა გირვანქა. მეტად ძრიელ დაგვიძვირდა აგრეთვე შეშა, თუმცა აქაური მცხოვრებნი უმეტესად წივასა ხმარობენ შეშის მაგივრად. კვერცხი ორი ერთი შაური გაგვიხდა.

კ. ვარეშვილი

—

**იმერეთი.** აბასთუმან-ქუთაისის გზა ტკეცილზედ ამ დღეებში შემდეგი მკვლელობა მოხდა:

12 ოქტომბერს, საღამოს ჟამს, ყასბის ბიჭებს „პოვოსკით“ ხორცი მიჰქონდათ საყასბოდგან ქუთაისს. ქუთაისიდგან მესამე ვერსზედ იქმნებოდნენ, რომ ს. დიდველის (ქუთაისის მაზ.) მცხოვრებნი გვარად ზიბზიბაძეები და ლაბაძეები შემოჰხვდნენ ურმებით. საუბედუროდ, ურმის ღერძი უცბათ „პოვოზკის“ ბორბალს მოედო. ამის გამო მეურმეებსა და ყასბის ბიჭებს შუა ატყდა ერთი ლანძვა გინება და შემდეგ ქვებიც დაუშინეს ერთმანერთს. ქვის სროლის დროს საცოდავს ალექსი ზიბზიბაძეს მოჰხდა ორი ქვა და იქვე სული დალია.

ვაკე-იმერეთში რთველი უკვე დაამთავრეს; ყოველივე გვარი დედა-მიწის მოსავალი წრეულ მცირეა. ამ ჟამად გაფაციცებით დაეძებენ ზამთრისათვის შეშას, მაგრამ შოვნა გასაჭირია, რადგანაც დაცული საშეშე ტყე სოფლებში არავის მოეძებნება. ამის გამო 20—25 ვერსის მანძილზედ მიდიან [illegible] საყიდლად აჯამეთში და [illegible] ფასებში ყიდულობენ, მაგრამ სიშორისა გამო მოტანა ბევრად ძვირად უჯდებათ, რადგანაც ორს დღეში ძლივს ერთს გზობას მიიტანს ოჯახში.

ირგვლივ მთებზედ საკმაოდ დიდი თოვლი დასდო. აგერ 10 დღეა, რაც აღმოსავლეთის ქარი ჰქრის. ძრიელ აცივდა.

ირ. ტ—ლი

---

# უცხოეთი

—

**კრიტი.** ევროპის რამდენიმე გაზეთი ამტკიცებს, რომ ახლო მომავალში კრიტი საბერძნეთს შეუერთდებაო. ამბობენ, რუსეთმა და საფრანგეთმა უკვე თანხმობა გამოაცხადა ამ კომბინაციაზეო. პრინცი გეორგი დაბრუნდება თუ არა ევროპიდამ მოგზაურობის შემდეგ, როგორც „Frankf. Zeit.“ იუწყება, საერო ყრილობას მოახდენს და ერის თანხმობით გამოაცხადებს კრიტის შეერთებას საბერძნეთთან, რომელიც ამის შემდეგ ოფიციალურად დაიჭერს კრიტს.

**ავსტრო-უნგრეთი.** ჩეხურ გაზეთებს ვენიდამ ატყობინებენ, რომ სლავიანთა წარმომადგენლებს განუზრახავთ სლავიანების ყველა პარტიების შეერთება. უნდა დაარსდეს ორი კონცენტრიული კავშირი; პირველს შეადგენენ ჩეხელი მიწადმფლობელი კონსერვატორები, ახალგაზრდა ჩეხები, ჩეხების აგრარიები, ჩეხთა ნაციონალ-სოციალისტები, სლოვენები, კროატები და სერბიელები; მეორე კავშირს შეადგენენ იგინივე და პოლონელები. პირველი კავშირი ამოირჩევს საპარლამენტო კომისსიას, რომელიც საჭიროების დროს მიჰმართავს პოლო-

---

მაიმუნებს, მეორე ჭიქით—ვირებს და მესამე ჭიქით—მუტრუკებს. ვაიმე, ვაიმე! როგორც ვხედავ, თქვენმა სახემაც ჩემი ყოვლად-უზრდელ სიმართლისაგან გამოწვეული წყრომის ელფერი მიიღო უცბად; მაგრამ ნუ აჰყვებით დიაცურ გულის თქმას და თქვენ მაინც ბრძნული და ვაჟკაცური მოთმინება იქონიეთ სიმართლის გამომჟღავნებამდის. აი, ბატონებო, ჭეშმარიტი საბუთიც სიმართლისა:

„წარღვნის შემდეგ, როდესაც ხალხი გამრავლებულა „ნოეს სიძეებისაგან აშენებულ სოფელ საქართველოში“ და ღვთის ბრძანებით კაცი მხოლოდ ოც-და-ათს წელიწადს ცოცხლობდა თურმე მაშინ, გამოსცხადებია სულთამხუთავი ვირსაც ოც-და-ათის წლის რამკაკოს, რომელიც ცრემლთა დენით შეჰხვეწნია სულთამხუთავს: „მიშუამდგომლე ღმერთთან ოც-და-ათის წლის სიცოცხლე კიდევ მომცესო, რადგანაც ჩემი სიცოცხლე აქამდის ლხინ-ქეიფში გავატარე უდარდელი მუტრუკივით, ეხლა დავკაცდი, ეხლა მოველ ჭკვაზე, და დიდი უსამართლობა იქნება მოვკვდე მაშინ, როდესაც ათასი საკეთილო საქმის გაკეთების ფიქრები დამებადა თავშიო“. მოსწონებია ღმერთს რამკაკოს ასეთი გონივრული თხოვნა, გამოუკლია ვირისათვის ოც-და-ათის წლის სიცოცხლე და მიუცია როგორც რამკაკოსათვის, ისეც სხვებისათვის. სიზმარივით გაურბენია ოც-და-ათ წელიწადსაც და თავს დასდგომია რამკაკოს სულთამხუთავი. მაგრამ კიდევ გულ-მხურვალედ შეჰხვეწნია რამკაკო სულთამხუთავს: „აქამდის ცოლ-შვილს, ხელმწიფეს და ქვეყანას ვემსახურე, იმათ სამსახურში დავბერდი, დავჩაჩანაკდი, უთვალავი შავის დღის ჭირ-ვარამი და ჭაპანწყვეტა გამოვიარე, დავიტანჯე, დავიღალე, დავიქანცე სულითაც და ხორცითაც, და დიდი უსამართლობა იქნება, ერთი ოცდა-ათის წლის სიცოცხლე კიდევ არ მიწყალობოს ღმერთმა, რომ ცხოვრების უანგარიშო ჭირვარამისაგან სულითა და ხორცით ძალზე დაღალულმა ახლა მაინც დავისვენო და სულის საცხონებელ საქმესაც შევუდგე ცოდვილიო“. მოსწონებია ეს თხოვნაც ქვეყნიერების დამბადებელს, გამოუკლია მაიმუნისათვის ოც-და-ათის წლის სიცოცხლე და მიუცია კეთილ-გონივრულად მოაზრე და მოლაპარაკე რამკაკოსათვის და საზოგადოდ ყველასათვის. აი ამიტომაცაო, ამბობს ხალხის პირით ზეპირ-გადმოცემა: კაცი ოც-და-ათ წლამდე უდარდელ მუტრუკსა ჰგავსო, ოც-და-ათიდამ სამოც წლამდე ვირის ტანჯვა-ვაივაგლახში იმყოფებაო და სამოცი წლიდამ ოთხმოც-და-ათ წლამდე ბებრუცანა მაიმუნივით სულელიაო...

„მაშასადამე, მთელის ქვეყნის ქალ-მანდილოსნები თუ სამის ჯიშისანი ყოფილან, ჩვენ, მთელის ქვეყნის კაცებსაც სამის ჯიშის ცხოველთა ბედი გვრგებია წილად. აი მე თითონ, თქვენმა უმორჩილესმა მონა-მოსამსახურემ, მუტრუკობის ხანა უკვე გამოვიარე, ვირის ხანაში გადავდექ და მაიმუნობის ხანასაც მივაღწევ ჯანმრთელად, რადგანაც დიდად მოყვარული გახლავართ ყველაფრის თავის დრომდე აუსწრაფებლად მოთმინებისა, ჯანმრთელობის სიბრძნე-მეცნიერებისა და აყვავებულ მთა-ველ-მინდორში მწარე ცხოვრებისაგან საბრალოდ დაჩაგრულ მოძმეთა შორის იმ ყოფნა-შრომისა, რომელიც ადამიანს სასიამოვნო თავისუფლების დამოუკიდებელი თვით-მოქმედებით აცხოვრებს, აგულისხმებს, ააზროვნებს და ანსხვავებს უფროსთა თავქეიფა სურვილ-წადილის ყურ-მოჭრილ ყმა-მონებისაგან, რომელნიც თავიანთ საკუთარ აზროვნება-მსჯელობას მოკლებულნი არიან სხვისა წადების ტყლაპათ წაგებულნი...

— ვაშა! ვაშა! ბრავოო!.. ერთხმად გრიალებდა მთელი დარბაზი აზიური საკრავებით და ტაშის ცემით, რადგანაც ეხლა კი ქალ-მანდილოსნებსაც მოეწონათ თამადის სიტყვა, რის გამოც თვალნი მელნისა ტბისანი ცის ელვასავით უბრწყინავდათ მეტის სიამოვნებით. წედან თუ კაცები ზოგიერთ შეხუმრებულ ქალებს ძაღლისა და ვირის ჯიშს უკიჟინებდნენ დამცინავი დრეჯა-კრეჭით, ეხლა ქალები ულოცავდნენ სასაცილოდ ამგდები სიცილ-კასკასით: ოც-და-ათ წლამდე მიღწეულ კაცებს მუტრუკობას, ოც-და-ათ წელიწადს გადასულებს-ვირობას და სამოც წელიწადს გადაცილებულებს—მაიმუნობას. თვით კაცებივე ამკობდნენ ერთმანეთს ამავე ნაცვალ-სახელებით, გულმხიარულად ისმევოდა სადღეგრძელოები ორფეხა ვირებისა, მაიმუნებისა, მუტრუკებისა და საერთო სიცილ-ხარხარს და ხუმრობა-ოხუნჯობას საზღვარი აღარა ჰქონდა.

მხოლოდ ერთი თავადი ქაიხოსრო ქეიფაძე არ იღებდა მონაწილეობას საერთო სიცილ-ხარხარში, რადგანაც კახური ღვინით ძალზე გაჟღენთილი და ახალ-თაობისაგან „გულ-გატეხილი“ ქაიხოსრო ყურს არავის უგდებდა, ის სულ სხვაგან ფრინავდა ოცნებით, ვნების ცეცხლით აგიზგიზებულ შავი ბრიალა თვალებიდამ ბურჯულ-ბურჯულა ნაპერწკლებს აბნევდა და თანაც რაღაც გატკბილნაზებულის გრძნობით ღიღინებდა ამ სიტყვებს: „მე მონად შევქნილვარ ერთისა მზისა, იგი ჩემთვის დნება და მე მისთვისა, მაგრამ დახედეთ ჩვენს უბედობას: არ იქნა, არ შეგვხვდა ჟამი შეყრისა!“ ეს იყო კიდეც ცისკრის ზარმა უხილავად დაიწყო ჰაერში: ტიიინ! ტიიინ! ტიიინ! გამომეღვიძა და ყურს ვუგდებდი ჩვენს უბანში დილა-ბნელზე აჟიჟინებულს მლოცველებს და მინდორში მიმავალ სოფლის მუშა-ხალხს, რომელთაგანი ხმა-მაღლა ჭიხჭიხით ამბობდა რაღაცაზე გაბრაზებული: „ფუუუ! ჩვენი ეგეთი ცხოვრების შნოსა და უნარს კი რა უთხრა, რო აყაპებული მჭადიც გვენატრება ოქროს მთა-ბარში, და მარტირუზა-ტირაკუზა კი ჩვენი ოფლით მონაგარი პურითა და ღვინით დევგმირობენ და პამპლაუშობენო.“

სიზმარში მოჩვენებული სურათი ისევ ცხოვლად მეხატებოდა თვალწინ გამოღვიძებულ მწოლარეს, და თამადისაგან წარმოთქმული სიტყვები ხომ ეხლაც ყურებში მიწუწუნებენ.

დ. მაჩხანელი.

ნელთა და ავტონომისტთა კლუბს. გაზეთების სიტყვით, ეს კავში განიძრახეს სლოვიანებმა, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ პანგერმანელებს, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ გერმანელების კლუბსა და თვით მმართველობაზედაც.

— უნგრეთის მმართველობას განუძრახავს შეეკითხოს ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტს მისგან წარმოთქმულის სიტყვის შესახებ. როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, კერბერი პარლამენტში იმ აზრით ლაპარაკობდა, რომ უნგრეთთან ურთი-ერთობის გამოსარკვევად ყველა პარტიები ერთს პარტიად უნდა გადაიქცესო. უნგრეთის პარლამენტში ამის თაობაზე პარლამენტს დეპუტატები შეეკითხებიან.

**საფრანგეთი**. ცნობილი სოციალისტი ჟორესი იმ ფრაქციას ეკუთვნის, რომელიც ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს ესარჩლება, მაგრამ „Petite République“-ში რამდენიმე დღის წინად დასწერა ერთი წერილი, რომელშიაც ჰკიცხავს ვალდეკ-რუსსოს იმ წერილის გამო, რომელიც გაუგზავნა მინისტ-პრეზიდენტმა მუშათა კავშირის მდივანს.

**სამხრეთი-აფრიკა**. ბურთა მცირე რაზმი გასულა ზღვის პირისაკენ, სალდანას მახლობლად, 65 მილის მანძილზე კაპშტატიდამ. ბურებმა თოფები დაუშინეს გემს, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა სამხედრო გემი და ბურები გაიფანტნენ.

— როგორც ამბობენ, ბოტას უკანასკნელის ოპერაციის მიზანი ის იყო, რომ დევეტისთვის შეძლება მიეცა ხელახლა ინგლისელების წინააღმდეგ გამოელაშქრა.

**ოსმალეთი**. მუშში 2,000 სომეხმა აცნობა რუსეთის ელჩს, სურვილი გვაქვს მართლ-მადიდებლობა მივიღოთო. სომხებს იმედი აქვთ ამით რუსეთის მოსარჩლეობა მოიპოვონ.

**ინგლისი**. „Morning Post“-ი ამბობს, სოლსბერის სამსახურიდამ გასვლას დიდი მნიშვნელობა ექმნებაო. როგორც ვიცით, ამ ერთის თვის წინად სოლსბერის სამსახურიდამ გასვლის გამო ბევრს ლაპარაკობდნენ გაზეთები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებული იყვნენ. „Morning Post“-ი ხელმეორეთ უბრუნდება ამ კითხვას და ამტკიცებს, რომ სოლსბერის ადგილს როზბერი დაიჭერსო. ამ აზრს ბევრი მომხრე არა ჰყავს. უფრო მოსალოდნელია, რომ სოლსბერის ადგილს, თუ იმან სამსახურს თავი დაანება, ეხლანდელი კაბინეთის რომელიმე წევრი დაიჭერს და არავითარი თვალსაჩინო ცვლილება არ მოხდება პოლიტიკაშიო.

## ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „Краткій Очеркъ исторіи грузинской церкви и экзархата за XIX столѣтіе“ ეპისკოპოსის კირიონისა. წიგნი 345 გვერდს შეიცავს, სუფთად არის დასტამბული და შიგა და შიგ სურათები აქვს ჩართული. როგორც სათაური უჩვენებს, წიგნის შინაარსს შეადგენს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის გამორკვევა 1801-ის წლიდამ დღევანდლამდე. წიგნი ღირს 2 მან. 50 კაპეიკად.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

15 ოქტომბერი.

**ლონდონი**. იმ კომისიის მუშაობა, რომელსაც სამხრეთ აფრიკიდგან ძალათ გაყვანილთა დაჯილდოვება აქვს დავალებული, დიპლომატიურ მოლაპარაკების წყალობით სასურველად დასრულდა. მთავრობის წარმომადგენელმა არდაგმა განაცხადა დღევანდელს კრებაზედ, რომ საერთო ჯამი იმ ჯილდოსი, რომელიც საბოლოოდ დადგენილ იქმნა მეგობრულ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად, უდრის 69,550 გირვანქა სტერლინგსაო.

**ბაქო**. 14 ოქტომბერს გაიხსნა საკომერციო სასწავლებელი რვა წლის კურსით, დაარსებული ბაქოს ნავთის მწარმოებელთა და ვაჭართა ხარჯით.

**ყაზანი**. მდინარეებში წყალი კლებულობს. ულკოვსკისთან 13 ოქტომბერს დაიღუპა 25 საქონლის საზიდი ნავი.

**გააგა**. ბურების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამხრეთ-აფრიკის საქმე გააგის საერთაშორისო სასამართლოს მიერ იქმნეს გადაწყვეტილი, ჯერ გადაეცემა დასახელებულ სასამართლოს საბჭოს მომავალ სხდომას, რომელიც ნოემბრის შუა რიცხვებში მოხდება. ჰფიქრობენ, საბჭო უპირველეს ყოვლისა გადასწყვეტს იმას, შეუძლიან თუ არა მას ამ გვარ შუამდგომლობათა განხილვა. თუ გადასწყვიტეს, რომ არაო, შუამდგომლობა არქივს გადაეცემა.

**ბერლინი**. იმპერიის კანცლერი საქმეების მოსახსენებლად ლიდენბურგს გაემართა, სადაც ვუშინ მიპერატორი წავიდა.

**კიევი**. გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კურსები, კიევის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ დაარსებული. ყურის-მგდებელი 30 კაცი და 20 ქალია. მასწავლებლებად საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის პროფესორები არიან. სწავლის ვადა ხუთი თვეა.

**კიევი**. 1901—1902 წლის ფხვნილი შაქარი ერთის კვირის განმავლობაში გაიყიდა 443,000 ფუთი ამ ფასებში: ოქტომბერსა და ნოემბრის დასაწყისს: 4 მან. 24 კაპ.—4 მან. $26\frac{1}{2}$ კაპ.; ოქტომბერსა, ნოემბერსა და დეკემბერს: 4 მ. $27\frac{1}{2}$ კ.—4 მ. 28 კ.; იანვარსა და თებერვალს—4 მ. 35 კ.; იანვარსა და აპრილს—4 მ. 42 კ.; მარტსა და ივლისს—4 მ. 45 კაპ. 1902 — 1903 წლ. წარმოების შაქარი გაიყიდა 225,000 ფუთი. შაქრის მწარმოებელთა გამგეობის ცნობებით, წელს ერთ დესეტინა ჭარხალს 950 მოსავალი ექმნება. შაქარი 55,000,000 ფუთამდე იქმნება დამზადებული.

**ბუდაპეშტი**. რეიხსტაგის გახსნის დროს წაკითხული სეფე სიტყვა თხოულობს უპირველესს ყოვლისა მოგვარებას უნგრეთსა და სახელმწიფოს სხვა ნაწილებს შორის ჯერეთ გადაუწყვეტელ სავაჭრო საკითხებისას ინტერესთა სამართლიანად გათანასწორების თანახმად და საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულობის მოსამზადებლად საერთო საბაჟო ტარიფის დადგენას, რომელმაც თანასწორი მფარველობა უნდა გაუწიოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას; შემდეგ—საადმინისტრაციო, საგადასახადო და საშინაო რეფორმებს. გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა საჭიროდ ჰყოფს სახალხო შრომის დახმარებას და კერძო წარმოების მფარველობას, რისთვის საჭიროა მთავრობის მიერ ფულის დახარჯვა მდინარეების სანავოსნოდ მოსაწყობად, ახალ ბაზრების გასაჩენად და საამხანაგო დაწყობილებათა შესაწევად. სეფე სიტყვა იხსენიებს იმას, რომ პროექტი უბედურ შემთხვევათაგან მუშების დაზღვევისა მხედველობაშია, ხოლო პროექტი სამხედრო წესდებისა სასჯელთა შესახებ პალატას წარედგინება ამავე სესსიაში; ამბობს, რომ უწინდელებრ მოკავშირეებთან მეგობრული განწყობილებაა და სხვა სახელმწიფოებთან კარგი. დასასრულ სეფე სიტყვა დეპუტატთა პატრიოტიზმს იხმობს და სთხოვს, საქმე ბოლომდე მიიყვანონ.

16 ოქტომბერი

**ოდესსა**. გაიხსნა ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების სავაჭრო სკოლა.

**ლონდონი**. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება მიდდელბურგიდგან 1 ოქტომბრის რიცხვით, რომ ზოგიერთი ტყვეები, რომელთაც ტყვედ ჩავარდნის დროს „ხაკი“ ეცვათ, სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრეტილ იქმნენო.—სამხრეთ-აფრიკიდგან გაგზავნილ რუსებს ჯილდოდ გადაეწყვიტათ 4100 გირვანქა სტერლინგი.

**ლონდონი**. ნაშუადღევს მინისტრთა საბჭოს სხდომა ჰქონდა, რომელსაც ყველა მინისტრები დაესწრნენ.

**ბერლინი**. გაზეთები ბევრსა სწერენ ჩინეთში ნამყოფ საფრანგეთის ექსპედიციის უფროსის გენერალ ვუარონის სამ წერილის შესახებ. ეს წერილები გრაფ ვალდერზეეს მიმართაა და ეხლა გამოაქვეყნეს. წერილებში, რომლებიც პასუხია ვალდერზეეს წერილებისა, ნათქვამია, რომ კათოლიკეთა მისიების მფარველობა ჩინეთში მარტო საფრანგეთის ჯარის საქმეაო. გრაფ ვალდერზეეს იმ პროტესტზედ—ზოგიერთი სოფელი რად არის მარტო საფრანგეთის დროშებით მორთულიო, გენერალმა ვუარონმა მიუგო, რომ თავიანთის ჰუმანიურის ყოფა-ქცევით ფრანგებმა მცხოვრებთა თანაგრძნობა დაიმსახურეს; ესაა მიზეზი, რომ საფრანგეთის დროშები სჭარბობდნენო. მესამე წერილი პეკინის მართვა-გამგეობას შეეხება. ამ წერილში ვუარონი არ იწონებს ვალდერზეეს წინადადებას საერთაშორისო ადმინისტრაციის შემოღების შესახებ, მაგრამ ჰპირდება საფრანგეთის ნაწილში იმ რეფორმების შემოღებას, რომელიც მთელის პეკინისათვის არის საჭიროდ ცნობილი. გაზეთი „Berl. Tageb.“-ს ამ წერილებიდგან ის აზრი გამოჰყავს, რომ გენერალმა ვუარონმა ინსტრუქცია მიიღო პარიჟიდგან ხელი შეუშალოს გრაფ ვალდერზეეს მთავარ სარდლობასაო.

**სოფია**. 15 ოქტომბერს, ნაშუადღევს, თავადმა ფერდინანდმა პრინცესის კლიმენტინა კობურგელის თანასწრებით გახსნა მორიგი სესსია სახალხო კრებისა. რადგანაც ფინანსები უწინდელებრ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ამიტომ სეფე სიტყვაში იმედია გამოთქმული, რომ ყველა დასის დეპუტატები და წარმომადგენელნი მხარს დაუჭერენ მთავრობას გაჭირვების ასაცილებლად მიღებულ საყურადღებო საფინანსო ზომების განსახორციელებისათვისაო. სეფე სიტყვაში ნათქვამია მერე, რომ მთავრობა, ხალხის სურვილის თანახმად, ეცდება ხელი შეუწყოს არსებულ კეთილ განწყობილებას დიდ და მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა უფრო განვამტკიცოთ ურთი-ერთობა ჩვენ განმათავისუფლებელ რუსეთთან. ამ ურთი-ერთობის გამომხატველი იყო სტუმრობა დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა, რომელსაც ბოლგარიის ხალხი აღტაცებით მიეგებაო. დასასრულ სეფე სიტყვაში ჩამოთვლილია ის კანონპროექტები, რომლებიც საერო კრებაში იქმნება შეტანილი. გზაზედ, სასახლესა და კრების შენობის შუა, დიდ ძალი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მთავარს ფერდინანდს.

### ყოველ-დღიური საჭირო ცნობები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლის ახალი გაწეს-რიგებით 15 **ოქტომბრიდგან სამგზავრო, საფოსტო და საბარგო-სამგზავრო მატარებლები** რკინის გზის სადგურებს შუა **შემდეგ პლატფორმაზედ გაჩერდებიან მგზავრების ჩასასხდომად და გადმოსასხდომად: ბათუმსა და ჩაქვას შუა** მე-91 და მე-93 ვერსზედ, **ზელენი მისში** და **მახინჯაურში** №№ მატარებლებისა 3, 4, 6, 104, 103, 105 106, 99 და 100; **ჩაქვასა და ქობულეთის შუა** მე-84 ვერსზედ, **ბუკნარში**, №№ მატარებლებისა 103, 104, 105 და 106; **სამტრედიასა და კოპიტნარს შუა** მე-98 ვერსზედ, **გუბში**, №№ მატარებლებისა 3, 4, 96, 99 და 100; **ქსანს და მცხეთას შუა**, მე-264 ვერსზედ, **ზიომღვიმეში**, №№ მატარებლების 3, 4, 66, 67; **მცხეთასა და ავჭალას შუა** მე-278 ვერსზედ, **ზედაზენში**, №№ მატარებლებისა 3, 4, 66, 67; **აბაშას და ახალ-სენაკის შუა**, მე-40 ვერსზედ, **კოსირში და სამტრედიასა და აბაშას შუა**, მე-57 ვერსზედ, **ცხენის წყალში**, №№ მატარებლებისა 93, 94, 95, 96, 97 და 98; **გელათისა და გოგირდის წყლებს შუა**, მე-2[illegible] ვერსზედ, **კურსებში, ქუთაისსა და გელათის შუა**, მე-6 ვერსზედ, **მოწამეთში და საწიროსა და ტყვიბულს შუა**, მე-4[illegible] ვერსზედ, **ახალსოფელში**, №№ მატარებლებისა 80 და 81; **მიხაილოვისა და სუმბათოვის შუა**, მე-9 ვერსზედ, **ქვიშხეთში** და **სუმბათოვისა** და **ბორჯომს შუა**, მე-15 ვერსზედ, **კარტანეთში**, №№ მატარებლებისა 70, 71, 72, 73, 66 და 67; **ბოსლევსა და რკვიას შუა**, მე-18 ვერსზედ, **ბეგლევში** და **ჭიათურასა და დარკვეთს შუა**, მე-33 ვერსზედ, **ჭიკაურში**, №№ მატარებლებისა 76, 77, 78 და 79.

## განცხადება

**შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო** აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზედ, საბჭოს სადგომში ქ. ქუთაისს **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა შემდეგი სამუშაოები ჭიათურაში:

1. რგანის გზა-ტკეცილის გამართვა; სამუშაო 3332 მან. 70 კაპეიკისაა.

2. სამრეწველო გზების შემაგრება; სამუშაო 2056 მან. 80 კაპ.

სულ სამუშაო 5389 მან. 50 კაპეიკისაა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარუდგინოს საბჭოს ბეი ხარჯთ-აღრიცხვით აღნიშნულ თანხის 5% ნაღდ ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. ვაჭრობას საბჭო ამტკიცებს.

ხარჯთ-აღრიცხვისა და პირობების განხილვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში.

(3—6.—2)


# საათფთეაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

# დ ე პ ო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადეზინფექციო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

## განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—98)

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ ... армацевтика.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.